სსკგ-ის თავმჯდომარემ მონაწილეობა მიიღო საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეთა დაცვისა და მხარდაჭერის ფონდის სამეურვეო საბჭოს სხდომაში



სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 30.11.2022. 30 ნოემბერს მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ანტონიმ მონაწილეობა მიიიღო საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეთა დაცვისა და მხარდაჭერის ფონდის სამეურვეო საბჭოს სხდომაში, რომელსაც თავმჯდომარეობდა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი ს.ვ. ლავროვი.

სხდომაში ასევე მონაწილეობდნენ: რუსეთის ფედერაციის იუსტიციის მინისტრი კ.ა. ჩუიჩენკო; რუსეთის სახელმწიფო დუმის კომიტეტის თავმჯდომარე დსთ-სა და თანამემამმულეებთან ევრაზიული

ინტეგრაციისა და კავშირების საკითხებში ლ.ი. კალაშნიკოვი; რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის სამმართველოს უფროსი უცხოურ ქვეყნებთან რეგიონალურ და კულტურულ საკითხებში ი.ვ. მასლოვი; რუსეთის ფედერაციაში ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში უფლებამოსილი ტ.ნ. მასკალკოვი; რუსეთის იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე ს.ვ. სტეპაშინი; მოსკოვის მთავრობის მინისტრი, საგარეო ეკონომიკური და საერთაშორისო კავშირების დეპარტამენტის თავმჯდომარე ს.ე. ჩერემინი; საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტოს „Россия сегодня“ გენერალური დირექტორი დ.ა. კისელიიოვი; ასევე, აღმასრულებელი ხელისუფლების დაინტერესებული ფედერალური ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

თავის გამოსვლაში მიტროპოლიტმა ანტონიმ ხაზი გაუსვა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის თანამშრომლობის მნიშვნელობას საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეების უფლებებისა და ინტერესების დაცვის სფეროში.

შეხვედრის მონაწილეებმა გაანალიზეს უკანასკნელი წლებში ფონდის მუშაობის შედეგები და 2023 წლის საქმიანობისთვის პრიორიტეტული მიმართულებების რეკომენდაციები გამოიმუშავეს.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/89849/